სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
2018 წლის 23 თებერვლის N33/ 01-01 ბრძანების

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სტუდენტური ომბუდსმენის საქმიანობის ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) სტუდენტური ომბუდსმენის (შემდგომში - ,,ომბუდსმენი“) საქმიანობის ინსტრუქციის მიზანია დაადგინოს ომბუდსმენის საქმიანობის მიზნები, უფლებამოსილებები, მისი საქმიანობის ფარგლები და წესი.
2. ომბუდსმენი საქმიანობისას ხელმძღვანელობს მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, კოლეგიალურობის, კონფიდენციალურობისა და აკადემიურობის პრინციპებით.

მუხლი 2. ომბუდსმენის საქმიანობის პრინციპები

1. ომბუდსმენი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.
2. სტუდენტური ომბუდსმენი ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს. ნებისმიერი პირის მხრიდან სხვადასხვა სახის კანონმდებლობით შეზღუდული ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია.

მუხლი 3. ომბუდსმენის ფუნქციები

ომბუდსმენი:

ა) უნივერსიტეტის ფარგლებში ზედამხედველობას უწევს სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურის ფარგლებში საქმიანობის განმახორციელებელი თანამდებობის პირების მხრიდან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა;

ბ) ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას;

გ) ეწევა საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

მუხლი 4. ომბუდსმენის უფლებამოსილება

1. ომბუდსმენი:

ა) დამოუკიდებლად ამოწმებს სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.

ბ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე სტუდენტის უფლებების დარღვევისა თუ მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულებისა თუ ცალკეულ თანამშრომლთა მხრიდან ისეთი ქმედებების თაობაზე, რომელბიც არღვევენ სტუდენტის უფლებებს.

2. ომბუდსმენს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულებისა თუ კონკრეტული თანამდებობის პირებისაგან - თანამშრომლებისაგან.

3. სახელმწიფო, კომერციული ან კანონით დაცული სხვა საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია სტუდენტურ ომბუდსმენს გადაეცემა კანონით დადგენილი წესით.

4. სტუდენტური ომბუდსმენი ვალდებულია არ გაამჟღავნოს საიდუმლო და კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია.

5. განცხადებებისა თუ საჩივრების განხილვა არ აბრკოლებს დაინტერესებულ პირს მიმართოს რეაგირების კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა საშუალებებს.

6. უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული, აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალი ვალდებულია ითანამშრომლოს სტუდენტურ ომბუდსმენდთან, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უფლებამოსილებების განხორციელებაში, მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და მასალები.

მუხლი 5. ომბუდსმენის საქმიანობის შედეგები სტუდენთა უფლებების დარღვევის საკითხებზე

1. სტუდენტის უფლებების დარღვევის თაობაზე საკითხის განხილვის შედეგად დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სტუდენტური ომბუდსმენი გასცემს რეკომენდაციას, დამრღვევ პირს, სტრუქტურულ ერთეულსა თუ თანამშრომელს სთავაზობს დარღვევის აღმოსაფხვრელად და დარღვეული უფლების აღსადგენად ღონისძიებების განხორციელებას მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

2. სტუდენტური ომბუდსმენი წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის მარტში წარუდგენს ანგარიშს უნივერსიტეტის რექტორს უნივერსიტეტში სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში მიეთითება ის მართვის ორგანოები, სტრუქტურული ერთეულები თუ კონკრეტული თანამშრომლები, რომლებიც არღვევდნენ სტუდენტის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებდნენ სტუდენტური ომბუდსმენის მიერ გაწეულ რეკომენდაციებს. ანგარიში უნდა შეიცავდეს ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

3. ომბუდსმენის ანგარიში ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ისევე როგორც სტუდენტის უფლებების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია.

მუხლი 6. მედიაცია

1. სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს შორის მედიატორის (შუამავლის) ფუნქციას ასრულებს ომბუდსმენი.

2. დავების მოგვარების მიზნით, იმისათვის რომ მაქსიმალურად მოხდეს ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება/დაცვა ომბუდსმენი მოქმედებს, როგორც მხაერებს შორის შუამავლი. ომბუდსმენი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელია და ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს კანონსა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებს.

3. დავის მხარეებს ეძლევათ თავისუფლება თავად გადაწყვიტონ, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას მედიაციის პროცესში. ომბუდსმენის უფლებამოსილებაა მოუწოდოს მხარეებს მონაწილეობისაკენ.

მუხლი 7. მედიაციის განხორციელების პროცედურა

1. მედიაციის პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი პროცედურის დაცვით:

ა) უპირველეს ყოვლისა ომბუდსმენი ცალკეულ მხარეებთან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მართავს შეხვედრებს ცალკეული პოზიციების დაფიქსირების მიზნით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულის გასაუბრების შედეგად ვერ მოხერხდა დავის გადაწყვეტა, მაშინ ომბუდსმენი სთავაზობს აღნიშნული სადავო საკითხის ყველა მხარესთან ერთობლივ განხილვას. აღნიშნულის პროცესში განსაკუთრებით ის საკითხები უნდა იქნას წამოწეული, რომელთა გადაწყვეტაც მიღწევადია;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ერთობლივი განხილვის შედეგად თავად ვერ გადაწყვეტენ დავას, ომბუდსმენის მიერ მოხდება კომპრომისული წინადადების შემუშავება და მხარეებისათვის წარდგენა, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს გაითვალისწინებს;

დ) თუ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტა ვერ ხერხდება, ომბუდსმენი მხარეებს უსახავს დავის გადაწყვეტის სამართლებრივ შესაძლებლობებს, მიუთითებს შესაძლო რისკებზე, რაც თან სდევს დავის გასაჯაროებას;

ე) მოლაპარაკების შედეგები, განსაკუთრებით კომპრომისული წინადადების შეთავაზება დაფიქსირდება ოქმის შედეგად.